გურთიად
GÜRTİAD

*HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ*

*კვირის ეკონომიკური გამოცემა*

# *2020 / 18 Eylül / სექტემბერი*

| Nüfus / მოსახლეობა | GSYİH ($) / მშპ ($) | GSYH (büyüme) /მშპ | İşsizlik / უმუშევრობა | Enflasyon / ინფლაცია |
|---|---|---|---|---|
| 3 716.9 | 4 763.5 | 5.1 % | 11.6 % | 4.8 % |

**Korona Virüs**
**კორონა ვირუსი**

Son haftada Gürcistan'da kaydedilen korona virüs vakalarının sayısı tekrar rekor rakamlara ulaştı. 18 Eylül tarihinde tespit edilen vaka sayısı 182 oldu (Batum – 129, Tiflis – 34). 17 ve 16 Eylül tarihlerinde ise vaka sayları 179 ve 196 sayılarına ulaşmıştır.

Son istatistik verilerine göre Gürcistan'da korona virüs vakalarının sayısı 3 119'ye ulaşmıştır. Vefat edenlerin sayısı – 19, iyileşenlerin sayısı – 1 435, aktif vaka ise – 1 665. Halihazırda hastanelerde 836 kişi tedavi görüyor, 5 014 kişi ise karantinadadır. Son verilere göre ülke çapında 517 590 test yapıldı.

Epidemiyolojik durum nedeniyle Batum girişinde kontrol noktası kuruldu ve kontrol noktasını geçen her kişiye ateş ölçülüyor. Gürcistan'ın sınırı açtığı 5 ülke vatandaşlarına ülkeye girmek için artık PCR test sonucun göstermesi germektedir. Bu 5 ülke vatandaşlar (Almanya, Fransa, Litvanya, Letonya, Estonya) sınırı geçerken son 72 saat içinde yapılan PCR test cevabının sunmak zorundalar.

Bazı düzenlemelerin sıkılaştırılmasına rağmen ülkede karantina süresi kısaltıldı ve 12 günden 8 güne düşürüldü. Konu ile ilgili açıklama yapan Başbakanı, ülkede sıkı düzenlemeler ve karantina uygulanmayacağını kaydetti.

Dünya çapında ise korona virüs vakalarının sayısı 30 milyona aşmıştır. Worldometers'e dayanarak, vakaların sayısı – 30 358 098, vefat eden kişi sayısı – 950 636, iyileşen kişi sayısı – 22 046 488. En çok vaka sayısı ABD, Hindistan, Brezilya, Rusya ve Peru'da görülmüştür. Konu ile ilişkin diğer detaylar aşağıdaki tabloda bulunmaktadır.

ბოლო კვირის განმავლობაში საქართველოში კორონა ვირუსის დადასტურებული შემთხვევების რაოდენობა ისევ რეკორდულ მაჩვენებლებს მიუახლოვდა. 18 სექტემბრის მონაცემებით საქართველოში კორონა ვირუსი 182 ადამიანს დაუდასტურდა, (129 ბათუმი, 34 თბილისი). 17 და 16 სექტემბერს კი 179 და 196 ადამიანით გაიზარდა ინფიცირებულთა რაოდენობა.

საბოლოო სტატისტიკური მონაცემების თანახმად კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა საქართველოში 3 119 შეადგინა. აქედან გარდაიცვალა 19, გამოჯანმრთელდა 1 435, ხოლო 1 665 აქტიური შემთხვევაა, რომელთაგანაც 836 სტაციონარული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. კარანტინის რეჟიმშია 5 014 ადამიანი. ქვეყნის მასშტაბით ჯამურად 517 590 ტესტი გაკეთდა.

ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით ბათუმის შესასვლელში მოეწყო ბლოკპოსტი, სადაც შემსვლელ და გამომსვლელ თითოეულ მოქალაქეს უზომავენ

AK YIL ZEMIN · Ank Catering · ARKAS GEORGIA LLC · Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · ნავახტარი · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · Ziraat Bankası

ტემპერატურას. იმ ქვეყნების მოქალაქეებს, რომლებსაც საქართველომ საზღვარი უპირობოდ გაუხსნა, ქვეყანაში შემოსასვლელად PCR ტესტის პასუხი დასჭირდებათ. აღნიშნული ქვეყნის მოქალაქეებმა (გერმანია, საფრანგეთი, ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი) საზღვრის კვეთისას ბოლო 72 საათში გაკეთებული PCR ტესტის პასუხი უნდა წარმოადგინონ.

გარკვეული რეგულაციების გამკაცრების მიუხედავად ქვეყანაში შემცირდა კარანტინის ვადა. აქამდე კარანტინის ხანგრძლივობა 12 დღე იყო და ის 8 დღემდე შემცირდა. საკითხის ირგვლივ გაკეთებული განცხადებისას პრემიერმა აღნიშნა, რომ მკაცრი რეგულაციები და საყოველთაო კარანტინი ქვეყანაში აღარ დაწესდება.

კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა მსოფლიოს მასშტაბით, ბოლო სტატისტიკური მონაცემებით 30 მილიონს გადააჭარბა. Worldometers-ის ცნობით, ჯამში, ახალი ვირუსით 30 358 098 ადამიანი დაინფიცირდა, გარდაიცვალა 950 636, ხოლო გამოჯანმრთელდა 22 046 488 პირი. ყველაზე მეტი ინფიცირებული აშშ-ს, ინდოეთს, ბრაზილიას, რუსეთსა და პერუს ჰყავს. საკითხთან დაკავშირებული დამატებითი მონაცემები ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეგიძლიათ იხილოთ.

| Ülke<br>ქვეყანა | Toplam Vaka<br>დაავადებული | Can Kaybı<br>გარდაცვლილი | İyileşme<br>გამოჯანმრთელებული | Hasta<br>პაციენტი |
|---|---|---|---|---|
| ABD / აშშ | 6 874 596 | 202 213 | 4 155 039 | 2 517 344 |
| Hindistan/ ინდოეთი | 5 214 677 | 84 404 | 4 112 551 | 1 017 722 |
| Brezilya / ბრაზილია | 4 457 443 | 135 031 | 3 753 082 | 569 330 |
| Rusya / რუსეთი | 1 085 281 | 19 061 | 895 868 | 170 352 |
| Peru / პერუ | 750 098 | 31 146 | 594 513 | 124 439 |
| Kolombiya/კოლუმბია | 743 945 | 23 665 | 615 457 | 104 823 |
| Meksika / მექსიკა | 684 113 | 72 179 | 488 416 | 123 518 |
| Güney Afrika/სამხრეთ აფრიკა | 655 572 | 15 772 | 585 303 | 54 497 |
| Ispanya / ესპანეთი | 625 651 | 30 405 | N/A | N/A |
| Arjantin/ არგენტინა | 601 713 | 12 460 | 456 347 | 132 906 |
| | | | | |
| Türkiye / თურქეთი | 298 039 | 7 315 | 263 745 | 26 979 |
| Gürcistan / საქართველო | 3 119 | 19 | 1 435 | 1 665 |
| | | | | |
| Total (Dünya)<br>სულ (მსოფლიო) | 30 358 098 | 950 636 | 22 046 488 | 7 360 974 |

AK YIL ZEMIN · Ank Catering · ARKAS GEORGIA LLC · Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC Waikiki · ნაბახტარი · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · Ziraat Bankası

## UNWTO Yürütme Kurulu Toplantısı Gürcistan'da Düzenlendi
## UNWTO-ის აღმასრულებელი საბჭოს სხდომა საქართველოში ჩატარდა

Birleşmiş Milletler Dünya Turizm Örgütü (UNWTO) Yürütme Kurulu'nun 112. toplantısı Gürcistan'da düzenlendi. Bahsi geçen toplantı dünyada Covid – 19 salgından sonra düzenlenen ve yüksek rütbeli temsilcilerin katıldığı ilk etkinliktir. Etkinlik her 2 yılda bir Madrid'de düzenleniyor, ancak 2020'de organizasyonun liderliği toplantı yeri olarak Madrid yerine Tiflis'i seçti.

Etkinlik Gürcistan Başbakanı Giorgi Gakharia konuşması ile açıldı. Başbakanın bahsettiği gibi Gürcistan, küresel salgınla mücadelede, en baştan beri iki ana hedef belirledi- vatandaşların sağlığının koruması ve ülke ekonomisinin kurtarması. Güvenlik açısından Gürcistan yeşil ülke statüsünün kazanmayı başardı ve bugün uluslararası piyasada Gürcistan en güvenilir turizm ülkelerinden biridir. Bu da bize kriz sonrası dönemde ekonomik gelişimin yeni aşamasının başlama fırsatı veriyor.




Toplantıya katılanlar arasında İspanya, Yunanistan, Portekiz, Romanya, Fas ve Suudi Arabistan'ın yanı sıra diğer ülkelerin üst düzey temsilciler vardı.

გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) აღმასრულებელი საბჭოს 112-ე სხდომა, საქართველოში ჩატარდა. სხდომა, რომელსაც საქართველომ უმასპინძლა COVID-19-ის პანდემიის შემდეგ მსოფლიოში პირველი, უპრეცედენტოდ მაღალი რანგის წარმომადგენლობითი ღონისძიებაა. ის ყოველ 2 წელიწადში ერთხელ ქალაქ მადრიდში ტარდება, 2020 წელს კი ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ სხდომის ჩატარების ადგილად მადრიდის ნაცვლად თბილისი შეარჩია.

აღნიშნული ღონისძიება სიტყვით გამოსვლით საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ გახსნა. პრემიერის თქმით, საქართველომ გლობალური პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში თავიდანვე ორი უმთავრესი მიზანი დაისახა - საკუთარი მოქალაქეების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა და ქვეყნის ეკონომიკის გადარჩენა. საქართველომ შეძლო მწვანე ქვეყნის სტატუსის მოპოვება და საერთაშორისო არენაზე დღეს ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო ტურისტული ქვეყანაა, რაც გვაძლევს შესაძლებლობას, პოსტკრიზისულ პერიოდში დავიწყოთ ეკონომიკური განვითარების ახალი ეტაპი.

ღონისძიების დელეგატებს შორის იყვნენ ესპანეთის, საბერძნეთის, პორტუგალიის, რუმინეთის, მაროკოსა და საუდის არაბეთის, ასევე სხვა ქვეყნების მაღალი რანგის სტუმრები.

## Asya Kalkınma Bankasının Tahminini
## აზიის განვითარების ბანკის პროგნოზი

Asya Kalkınma Bankası, Gürcistan için ekonomik büyüme tahmini güncelledi. Banka, 2021 yılında Gürcistan için %4,5 ekonomik büyümeyi öngörüyor. Kuruluşun değerlendirmesine göre, turizm, ihracat ve yerel tüketimdeki büyüme ekonomik büyümeye olumlu etkileyecek.

Gürcistan'daki Asya Kalkınma Bankası Daimi Temsilciliği Direktörü Shane Rosenthal açıkladığı gibi, ülke, Covid-19'un ekonomik sonuçlarının hafifletmek için, bankacılık düzenlemeleri ve vergi tahsilatı kolaylaştırdı, sosyal paketleri genişletti, karantinaya alınan işletmeleri kademeli açtı ve iç turizmi teşvik etme dahil olmak üzere bir dizi adımları attı. Asya Kalkınma Bankası temsilciliği, salgının neden olduğu sorunlarının üstesinden gelmek için ve aynı zamanda çeşitlendirilmiş ve kapsayıcı kalkınma süreçlerinin desteklemek için Gürcistan'ın yanında olacağını kaydetti.




აზიის განვითარების ბანკმა საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზი განაახლა. ბანკი 2021 წელს საქართველოსთვის 4.5-პროცენტიან ეკონომიკურ ზრდას პროგნოზირებს. ორგანიზაციის შეფასებით, მომდევნო წელს ტურიზმის, ექსპორტისა და ადგილობრივი მოხმარების ზრდა ეკონომიკურ ზრდაზე დადებით გავლენას მოახდენს.

კოვიდ-19-ის ეკონომიკური შედეგების შესარბილებლად საქართველომ არაერთი ნაბიჯი გადადგა, მათ შორისაა საბანკო რეგულაციებისა და გადასახადების აკრეფის შერბილება, სოციალური პაკეტების გაფართოება, კარანტინის გამო შეჩერებული ბიზნეს-საქმიანობის ფრთხილი გახსნა და შიდა ტურიზმის წახალისება. აზიის განვითარების ბანკი კვლავაც სრულ მხარდაჭერას უცხადებს საქართველოს პანდემიის დაძლევაში და მის გვერდით იქნება დივერსიფიცირებული და ინკლუზიური განვითარების გზაზე“, – განაცხადა აზიის განვითარების ბანკის მუდმივი წარმომადგენლობის დირექტორმა საქართველოში, შეინ როზენტალმა.

## Gürcistan'a Para Transferleri
## ფულადი გზავნილები საქართველოში

Gürcistan Milli Bankası'na göre, Ağustos 2020'de geçen yılın aynı dönemine kıyasla Gürcistan’a %25,8 ile daha fazla para transfer edildi. Ağustos 2020’de ülkede 184.2 Milyon $ (566.2 Milyon GEL) transfer edildi.
En çok para transferi yapan 10 ülkenin listesi aşağıdaki gibidir:

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2020 წლის აგვისტოში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, საქართველოში 25.8%-ით მეტი ფულადი გზავნილი შემოვიდა. 2020 წლის აგვისტოში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 184.2 მლნ აშშ დოლარი (566.2 მლნ ლარი) შეადგინა.

AK YIL ZEMIN · Ank Catering · ARKAS GEORGIA LLC · Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · Ziraat Bankası

ქვედა ცხრილში მოცემულია Top-10 ქვეყანა, საიდანაც ყველაზე დიდი მოცულობის ფულადი გზავნილები განხორციელდა:



**Rusya / რუსეთი 34.94 მილიონი $**
**İtalya / იტალია 27.95 მილიონი $**
**ABD / აშშ 22.05 მილიონი $**
**Yunanistan / საბერძნეთი 20.64 მილიონი $**
**İsrail / ისრაელი 14.30 მილიონი $**
**Türkiye / თურქეთი 9.65 მილიონი $**
**Azerbaycan / აზერბაიჯანი 6.96 მილიონი $**
**Almanya / გერმანია 6.86 მილიონი $**
**İspanya / ესპანეთი 5.11 მილიონი $**
**Fransa / საფრანგეთი 2.81 მილიონი $**

Bununla beraber 2020 yılı Ağustos ayında Gürcistan'dan yurtdışında transfer edilen paranın hacmi 23.1 Milyon Dolar (71.1 mln GEL) olmuş.

აღნიშნულთან ერთად 2020 წლის აგვისტოში, საქართველოდან საზღვარგარეთ 23.1 მლნ აშშ დოლარი (71.1 მლნ ლარი) გადაიგზავნა.




**2020 yılın ikinci çeyreğinde Gürcistan'ın ekonomi %12.3 Azaldı**

**2020 წლის მეორე ნახევარში საქართველოს ეკონომიკა 12.3%-ით შემცირდა.**

AK YIL ZEMIN
Ank Catering
ARKAS GEORGIA LLC
Ermed GEORGIA
İŞBANK
KOÇ
KABLO
LC Waikiki
MAQRO CONSTRUCTION
nurol
ŞİŞECAM
Ziraat Bankası

**Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი**

USD/GEL –3.1886 TRY/GEL – 0.4226 EUR/GEL –3.7603 GBP/GEL – 3.1343

GEL/USD
11 – 18 Eylül 2020




USD/TRY
11 – 18 Eylül 2020




TRY/GEL
11 - 18 Eylül 2020




ALTIN – 62 762.29 kg/usd
11 – 18 Eylül 2020

